

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	16
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	25
6. თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი	30
7. მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები.....	31
8. სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები.....	31
9. სხვა ხარჯები.....	31
10. ფინანსური ხარჯი, წმინდა	31
11. ძირითადი საშუალებები	32
12. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	32
13. არამატერიალური აქტივები.....	33
14. მარაგები.....	33
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	34
16. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	35
17. მიღებული სესხები	36
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37
19. მომენტალური გათამაშების საპრიზო ფონდის ანარიცხები	37
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
21. პირობითი ვალდებულებები	38
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი ენ ელის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ჯი ენ ელის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ფინანსური სირთულებები, კერძოდ: 2024 წლის მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 3,160 ათას ლარს (2023: 1,274 ათას ლარს); მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 16,611 ათასი ლარით აჭარბებს მოკლევადიან აქტივებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი აქვს 29,594 ათასი ლარის ოდენობით ზარალი. ასევე, კომპანიას დარღვეული აქვს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული ლატარიის ლიცენზიით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც კომპანიას უნდა დაეკმაყოფილებინა რამდენიმე ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნა. კომპანიამ კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შედეგად, ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ზოგიერთი მოთხოვნის შესრულება. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს ფინანსთა სამინისტროს მიმართ საკომისიო გადასახადთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის აკუმულირებული ნაშთი შეადგენს 4,339 ათას ლარს. აღნიშნული ვალდებულებიდან გადასახდელი თანხის ძირი შეადგენს 2,998 ათას ლარს, ხოლო მასზე დარიცხული ჯარიმის ვალდებულება 1,341 ათას ლარს. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება კომპანიისთვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნით. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს ბადავს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიის ხელმძღვანელობა მიუხედავად ზემოთ მოცემული სირთულებისა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენას. ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისთვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები ჯამურად წარმოდგენილია 5,067 ათასი ლარის ღირებულებით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 7,101 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან,

აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს შპს „მინიმარტის“ და შპს „სითისაითის“ თავდებს (სოლიდარული პასუხისმგებლობა) სს „თიბისი ბანკის“ მიმართ ნაკისრ სასესხო ვალდებულებებზე. თავდებობის მაქსიმალური თანხა შეადგენს 5,500 ათას ლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში შპს მინიმარტის სასესხო ვალდებულებისთვის და 2,800 ათასი აშშ დოლარი შპს „სითისაითის“ გარანტიის თავდებობისთვის. თავდებობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „მინიმარტის“ და შპს „სითისაითის“ ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს თავდებობის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ თავდებობებთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი, რასთან დაკავშირებითაც ხელმძღვანელობისგან ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს შეფასებული შპს მინიმარტის მიმართ არსებული 6,850 ათასი ლარის ოდენობის სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, გაუფასურებულია თუ არა აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვექონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მარტი 2025 წელი

შპს „ჯი ენ ელ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი	6	17,258	15,082
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები	7	(4,911)	(4,563)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	8	(1,065)	(1,150)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,055)	(2,053)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(3,900)	(3,321)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	(224)
სხვა ხარჯები	9	(5,139)	(4,150)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		188	(379)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(3,348)	(895)
მთლიანი სრული ზარალი		(3,160)	(1,274)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 31 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გ. გედევანიშვილი
ფინანსური დირექტორი	_____	ე. ოგანესიანი

შპს „ჯი ენ ელ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი	6	17,258	15,082
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები	7	(4,911)	(4,563)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	8	(1,065)	(1,150)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,055)	(2,053)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(3,900)	(3,321)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	(224)
სხვა ხარჯები	9	(5,139)	(4,150)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		188	(379)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(3,348)	(895)
მთლიანი სრული ზარალი		(3,160)	(1,274)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 31 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



ბ. გელევანიშვილი

ე. ოგანესიანი

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*	01.01.2023*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	427	583	775
აქტივების გამოყენების უფლება	12	1,315	1,916	2,002
არამატერიალური აქტივები	13	3,325	4,602	5,868
		5,067	7,101	8,645
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	14	1,241	912	1,058
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	8,394	4,762	1,914
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	99	182	687
		9,734	5,856	3,659
სულ აქტივები		14,801	12,957	12,304
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(29,594)	(26,434)	(25,160)
სულ კაპიტალი		(29,594)	(26,434)	(25,160)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	17,058	22,333	20,822
საიჯარო ვალდებულებები	12	992	1,591	1,671
		18,050	23,924	22,493
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	12,105	9,873	8,766
მიღებული სესხები	17	12,448	4,207	5,143
საიჯარო ვალდებულებები	12	560	523	402
გადავადებული შემოსავალი		39	42	68
მომენტალური გათამაშების საპრიზო ფონდის ანარიცხები	19	1,193	822	592
		26,345	15,467	14,971
სულ ვალდებულებები		44,395	39,391	37,464
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14,801	12,957	12,304

(*) -2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

შპს „ჯი ენ ელ“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	დაგროვილი ზარალი	სულ
01.01.2023*	(25,160)	(25,160)
მთლიანი სრული ზარალი	(1,274)	(1,274)
31.12.2023*	(26,434)	(26,434)
მთლიანი სრული ზარალი	(3,160)	(3,160)
31.12.2024	(29,594)	(29,594)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

შპს „ჯი ენ ელ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(3,160)	(1,274)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,055	2,053
ფინანსური ხარჯები, წმინდა	10	3,348	895
ზარალი საკუროს სხვაობებიდან, წმინდა		11	6
ცვლილება ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვში		-	224
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	9	36	25
იჯარის გასვლიდან (მოგება)/ზარალი		(27)	27
საპრიზო ფონდის და სოციალურ პროექტებთან დაკავშირებული ანარიცხები		1,627	1,084
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		3,890	3,040
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,094	360
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(3,632)	(3,072)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		(329)	146
გადავადებული შემოსავლის შემცირება		(3)	(26)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან, წმინდა		1,020	448
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(103)	(112)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(13)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(103)	(125)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების პროცენტის დაფარვა	17	(162)	(140)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	12	(667)	(501)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა	12	(159)	(175)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(988)	(816)
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება		(71)	(493)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	182	687
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(12)	(12)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	99	182

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი ენ ელ“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით - 404507173, დაარსდა 2016 წელს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს „ვინ“	100%	100%
	<u>100%</u>	<u>100%</u>

კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი და მაკონტროლებელია ბატონი კობა ღურწყაია.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის ქ., №20.

2017 წლის 24 ივლისს კომპანიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოიპოვა ექსკლუზიური უფლება და დაინიშნა ექსკლუზიურ ორგანიზატორად, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე ჩაატაროს და ორგანიზება გაუწიოს ლატარიის თამაშებს 10 (ათი) წლის ვადით.

კომპანიისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული ექსკლუზიური უფლება მოიცავს შემდგომ ქმედებებს:

- საქართველოს იურისდიქციაში ორგანიზება გაუწიოს და ჩაატაროს ლატარია
- გაყიდოს და განახორციელოს ლატარიის ბილეთების დისტრიბუცია ნებისმიერი კანონმდებლობით ნებადართული საშუალებისა და მეთოდის გამოყენებით, ინტერნეტით გაყიდვის ჩათვლით
- მიიღოს მოგება ლატარიის ორგანიზების და ჩატარებიდან
- უზრუნველყოს ლატარიის თამაშების პრიზების გაცემა
- განახორციელოს ლიცენზიის ხელშეკრულებაში აღნიშნული მომსახურება, ფუნქციები, ვალდებულებები და ამოცანები
- განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც ლატარიის ჩატარების და ორგანიზების აუცილებელი ან ჩვეულებრივი ნაწილია და რომელიც არ არის აკრძალული ამ ხელშეკრულებით, სარეგულაციო მოთხოვნებით და გამოსაყენებელი კანონმდებლობით.

კომპანიის საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სამინისტროსთვის სავალდებულო გადასახდელია ლატარიის მოსაკრებელი, კომპანიის ტირაჟიანი და მომენტალური ლატარიის ბილეთების გაყიდვების მთლიან შემოსავლებსა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის პროცენტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული ლიცენზიის თანახმად, საქართველოში ეროვნული ლატარიის მართვას ახორციელებს კომპანია, სავაჭრო ნიშნით - Lotto.ge.

ტირაჟიანი და მომენტალური ლატარიის გაყიდვები მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო 2018 წლის 17 მარტს.

2024 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ლატარია წარმოდგენილი იყო სამი ტირაჟიანი ლოტოს 6/36-ის, 5/35-ოქროს ბურთისა და კენოს სახით, ტირაჟიანი ლატარიის გარდა, საქართველოს ეროვნული ლატარია საზოგადოებას სთავაზობს მომენტალური ლატარიის ე.წ. გადასაფხეკი ბილეთების 13 თამაშს: 3 შანსი 4, ხელფასი, ფარაონი 4, შვიდიანი 5 024, სუპერ 7 025, 3 შანსი 5, ილბლიანი ლარი 027, ფარაონი 5 028, ოქროს 7 029, შვიდიანი 6 030, სუპერ 7 031, 3 შანსი 032, ილბლიანი ლარი 034.

2019 წლის 19 მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ლატარიამ დაიწყო მომენტალური ონლაინ გათამაშებები. 2023 წლის განმავლობაში ქსელში ჩაშვებული იყო 21 ონლაინ თამაში: ფარაონთა საგანძური, ილბლიანი ვენახი, Honey Bird, მარგალიტების ოკეანე, The Great Conquer, ფარაონთა საგანძური Deluxe, აკვარიუმი, არაბესკა, ველური დასავლეთი, ჩამირობანა, განგესტერები, პირამიდა, საახალწლო საჩუქრები, კალათხურთი, ილბლიანი 7, ოქროს ბანკი, ვეგასი, ფეხბურთი, სამეფო საგანძური, ილბლიანი ბორბალი, ჰოკეი. 2023 წელს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ონლაინ გათამაშებები კომპანიამ შეაჩერა და 2024 წელსაც არ განუახლებია.

საქართველოს ეროვნული ლატარიის ტირაჟიანი ლოტოს და მომენტალური გათამაშების ბილეთების შეძენა შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩებში განთავსებულ ჯიხურებში, ლატარიის სერვის ცენტრებსა და დიდ სავაჭრო ობიექტებში.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში (თანხები მოცემულია ათასებში). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ კომპანია შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად, განსჯისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

2024 წლის მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 3,160 ათას ლარს (2023: 1,274 ათას ლარს); მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 16,611 ათასი ლარით აჭარბებს მოკლევადიან აქტივებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი აქვს 29,594 ათასი ლარის ოდენობით ზარალი. ასევე, კომპანიას ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული აქვს ლატარიის ლიცენზიის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანია რამდენიმე ფინანსურ და არაფინანსურ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის ყოველ კვარტალურად უნდა იხდიდეს რეალიზაციის საკომისიოს, ბილეთების გაყიდვების მთლიან შემოსავლებსა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%-ის ოდენობით. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ორგანიზატორისთვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნით. აღნიშნული მოთხოვნების ნაწილს, მაგალითად ყოველკვარტალური საკომისიოს გადახდის ვალდებულებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს. ამ გარემოებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე მომავალში.

მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია, შემდეგი გარემოებების გამო:

- როგორც მე-17 შენიშვნაშია მოცემული, კომპანიას სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული აქვს დაკავშირებული მხარეებისგან. აღნიშნული სესხების ნაწილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას.
- კომპანიამ გასულ პერიოდებში, კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შედეგად, ვერ გადაიხდა ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ლატარიის ლიცენზიის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველკვარტალური საკომისიო, თუმცა მიმდინარე (2024 წელს წარმოქმნილი) დავალიანების არსებითი ნაწილი დაფარული აქვს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- კომპანიის მიერ ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალიანების არ გადახდა წარმოადგენს სალიცენზიო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის დარღვევას, რომელსაც შესაძლოა სამინისტროს მხრიდან მოჰყვეს სალიცენზიო ხელშეკრულების შეწყვეტა. სალიცენზიო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ზემოთ აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა გამოსწორებადია და გამოსწორდება სამინისტროს მიერ კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ამასთან, არ ექნება ადგილი შეუსრულებლობის შემთხვევას, სამინისტრო არ მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირება აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსი არ არსებობს გრძელვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშაებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების განხორციელების შემდგომი განხილვისას, 2024 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში. ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ▶ ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ▶ ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ▶ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღრიცხავენ საწარმოები ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტას და როგორ ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიცირება. ცვლილებები საშუალებას აძლევს საწარმოს ვადაზე ადრე მიიღოს მხოლოდ ცვლილებები, რომლებიც ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შესაბამის ახსნა-განმარტებებს, ხოლო დანარჩენი ცვლილებები გაითვალისწინოს მოგვიანებით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ცვლილებები ადრეულ პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობა) დაკავშირებული ან მსგავსი მახასიათებლები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს, აგრეთვე სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობებს. მოცემული ცვლილებები თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს:

- ▶ ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);
- ▶ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის გადავადებული სხვაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით. (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი (ფასს 7-ის ცვლილებები);
- ▶ შესავალი და საკრედიტო რისკის გამჟღავნება (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ ტრანზაქციის ღირებულება (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ 'დე ფაქტო აგენტის' განსაზღვრა (ფასს 10-ში შესწორებები);
- ▶ დანახარჯეთოდი (ბასს 7-ში შესწორებები);

საბოლოო ცვლილებები გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში.

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). 2024 წლის 18 დეკემბერს IASB-მ გამოსცა ცვლილებები, რათა გაუმჯობესებინა ფინანსური აღრიცხვა კომპანიების მიერ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად სტრუქტურირებულია როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებები საწარმოებს ეხმარება უზრუნველყონ ელექტროენერგიის მიღება ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან. მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდეს, თუ როგორ აისახება ამ კონტრაქტების ეფექტი კომპანიის მუშაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული უკონტროლო ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, IASB-მ შეიტანა მიზანმიმართული ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში და ფასს 7 ფინანსურ ინსტრუმენტებში კერძოდ: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რათა გააუმჯობესოს ამ ხელშეკრულებების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

ეს ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის, შესწორებების გამოყენებამდე საჭიროა მათი დამტკიცება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება ცვლის ბასს 1-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას და სავალდებულოა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

► მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ. ფასს 18-ს შემოაქვს მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლისა და ხარჯის ერთეულების კლასიფიცირებისთვის ხუთი კატეგორიის მიხედვით. ეს კლასიფიკაცია იწვევს გარკვეული შუალედური ჯამების წარდგენას, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლისა და ხარჯის ყველა იმ ერთეულის ჯამი, რომლებიც მოიცავს ახალ სავალდებულო „საოპერაციო მოგება-ზარალს“ შუალედურ ჯამს.

► ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს, შესრულებული კორექტირებით (მაგ., „კორექტირებული მოგება ან ზარალი“). საწარმოებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში MPM-ების გამჟღავნება, მათ შორის MPM-ების რეკონსილაცია ფასს სტანდარტების შესაბამისად გამოთვლით ჯამებთან ან შუალედურ ჯამებთან.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია გააუმჯობესოს კომპანიების ანგარიშგებების შედარება და გამჭვირვალობა. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირე ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, შუალატრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. დაინტერესებულმა მხარეებმა სთხოვეს IASB-ს, უფლება მისცეს შვილობილ კომპანიას, ანგარიშვალდებულებს დედა კომპანიის მიმართ, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, გამოიყენოს ფასს სტანდარტების შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის. ამ გამოხმაურების გათვალისწინებით, IASB-მ დაამატა პროექტი, რათა შეექმნა საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე შვილობილი კომპანიების გამჟღავნების გამარტივებული მოთხოვნები. პროექტი დასრულდა ფასს 19-ის გამოცემით, რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. მაგალითად, ფასს 19-ის მიხედვით, საწარმო, რომელსაც აქვს ოპერაციები ფასს 2-ის აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფარგლებში, არ გამოიყენებს ფასს 2.44-52-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ამის ნაცვლად, საწარმო გამჟღავნებს მხოლოდ ფასს 19-ის 31-34 პარაგრაფებში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ღონისძიებების აღწერას, აქციების ოფციონების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასებს, როგორ ხდება მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების დროს და სხვა ზოგად ინფორმაციას ფასს 2-ის ფარგლებში ოპერაციების შესახებ. ფასს 2 ამჟამად შეიცავს 991 სიტყვას მის გამჟღავნების მოთხოვნებში, მაშინ როცა ფასს 19 შეიცავს მხოლოდ 250 სიტყვას, იმ ახსნა-განმარტებითი შენიშვნებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ფასს 2-ის განმარტებებს. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

► საწარმო არის შვილობილი კომპანია (როგორც განსაზღვრულია IFRS 10-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი ა-ში);

► საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და

► საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს. საწარმოს აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:

► მისი სასესხო ან კაპიტალის ინსტრუმენტები ივაჭრება საჯარო ბაზარზე ან ასეთი ინსტრუმენტების გამოშვების პროცესშია; ან

► იგი ფლობს ფართო ჯგუფის გარე პირებისთვის აქტივებს ფიდუციური (მართვის) უფლებამოსილებით, როგორც თავის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას;

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები შეიძლება წარდგეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ყველა აქტივი წარდგენილია, როგორც „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღირიცხება წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღირიცხება განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ფინანსური ვალდებულებები**

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს წარადგენს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება წარდგენილი აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს გარიგების საწყის ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარვას მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი**სასარგებლო მომსახურების
ვადა (წელი)****ძირითადი საშუალება**

კომპიუტერული და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა

3,5-10

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

5

ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები

5-10

არამატერიალური აქტივი

ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ლიცენზია

10

სხვა ლიცენზია

8,5 – 10

ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის/ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

წრფივი მეთოდი გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა, რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ამოწმებს აქტივებს გაუფასურებაზე. თუ არსებობს ამის ნიშნები ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. ნარჩენი ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის (მათ შორის ბილეთები) იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (გაუქმების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

დაგროვილი ზარალი

კომპანიის დაგროვილი ზარალი წარმოქმნილია საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული ზარალით, ასევე დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად, კონკრეტულად, კი დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობაანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შესასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ლოტოს და მომენტალური გათამაშების ბილეთების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

შემოსავალი აღიარდება სხვადასხვა ტიპის საქონლის რეალიზაციიდან:

შემოსავალი ლოტოდან - შემოსავალი ლოტოს (ტირაჟიანი თამაშების) ბილეთების რეალიზაციიდან, რომელიც იყიდება სახელშეკრულებო ლატარიის აგენტების, საკუთარი სადისტრიბუციო არხის და ონლაინ ვებგვერდის www.Lotto.ge-ს მეშვეობით აღიარდება გათამაშების გამართვის მომენტში. თითოეული თამაშის ბილეთის ფასი ფიქსირებულია და დადგენილია თამაშის რეგლამენტით.

წლის ბოლომდე გაყიდული ლოტოს ბილეთების ღირებულება, იმ გათამაშებებისათვის, რომელიც გაიმართება ანგარიშგების თარიღის შემდგომ, აღრიცხულია, როგორც გადავადებული შემოსავალი.

შემოსავალი მომენტალური თამაშებიდან - შემოსავალი მომენტალური თამაშებიდან, რომლებიც იყიდება ლატარიის აგენტების და საკუთარი სადისტრიბუციო არხის მეშვეობით, აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც ბილეთზე კანონიერი მფლობელობა გამყიდველიდან საბოლოო მომხმარებელს გადაეცემა. თითოეული თამაშის ბილეთის ფასი ფიქსირებულია და დადგენილია თამაშის რეგლამენტით.

საპრიზო ფონდის ხარჯები

ლოტოს საპრიზო ფონდის ხარჯები - ლოტოს (ტირაჟიანი თამაშები) საპრიზო ფონდის ხარჯები აღრიცხულია, როგორც ბილეთების გაყიდვის პროცენტი, ყოველ გათამაშებისთვის, გათამაშების მომენტში.

მსგავსი გათამაშებების საპრიზო ფონდის ვალდებულებები აღრიცხულია, როგორც არამოთხოვნილი საპრიზო ფონდი და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილში, როგორც ტირაჟიანი გათამაშებების საპრიზო ფონდი.

მომენტალური გათამაშებების საპრიზო ფონდის ხარჯები - პრიზები მომენტალური თამაშებისათვის აღრიცხულია ყოველ თამაშზე მოგების სახით გაცემული თანხით და დაკორექტირებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს თეორიული საპრიზო ხარჯის შესაბამისად, ამონაგების აღიარების პარალელურად. ყოველწლიური ფაქტიური ხარჯი განსხვავებული იქნება თეორიული შეფასებისგან გათამაშების საციცოცხლო ციკლიდან გამომდინარე. გათამაშების მანძილზე, რეალური საპრიზო ხარჯი მიუახლოვდება თეორიულ შეფასებას და ნებისმიერი სხვაობა აღიარდება გათამაშების საბოლოო აღრიცხვაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

სერვისის გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოსაკრებელი და საკომისიო

გაყიდვების აგენტების საკომისიო - ეფუძნება ლოტოსა და მომენტალური გათამაშების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს და მისი გამომუშავება ხდება თითოეული აგენტის მიერ, მათთან შეთანხმებული ინდივიდუალური პირობების შესაბამისად.

ლატარიის მოსაკრებელი - ეფუძნება ლოტოსა და მომენტალური გათამაშების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს და გადასახდელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის. ლატარიის მოსაკრებელი რეგულირდება 2017 წლის 24 ივლისის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით.

როიალტის მოსაკრებელი - ეფუძნება ლოტოსა და მომენტალური გათამაშების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს და გადახდილი უნდა იყოს ლატარიის საბილინგო სისტემის მომწოდებლისთვის.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გასვლა მიმდინარე მოვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიშვა, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. თუმცა, თუ ეკონომიკური სარგებლის გასვლა დამოკიდებულია მომავალში მოსახდენ მოვლენაზე ან არ არის შესაძლებელი მისი საიმედოდ შეფასება, ფინანსურ ანგარიშგებაში კეთდება განმარტებითი შენიშვნა პირობითი ვალდებულების სახით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ა) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ბ) მომენტალური გათამაშების საპრიზო ფონდის ანარიცხები

კომპანია საპრიზო ფონდის ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. პრიზები მომენტალური გათამაშებისათვის აღრიცხულია თითოეული თამაშის ჭრილში მოგების სახით გაცემული თანხით და დაკორექტირებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს თეორიული საპრიზო ხარჯის შესაბამისად, ამონაგების აღიარების პარალელურად.

შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან და გათამაშების საციცოცხლო ციკლიდან გამომდინარე, ყოველწლიური ფაქტიური ხარჯი განსხვავებული იქნება თეორიული შეფასებისგან. გათამაშების მანძილზე, რეალური საპრიზო ხარჯი მიუახლოვდება თეორიულ შეფასებას და ნებისმიერი სხვაობა აღიარდება გათამაშების საბოლოო აღრიცხვაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის მომენტალური ლატარიის ე.წ. გადასაფხევი ბილეთების თეორიული საპრიზო ხარჯი გაანგარიშდება თამაშის რეგლამენტით, ტირაჟის ჯამური ღირებულებისთვის, დადგენილი საპრიზო ფონდის შესაბამისად, ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული აკუმულირებული შემოსავლის (თამაშის დაწყების დღიდან) პროპორციული ოდენობით.

გასაცემი საპრიზო ფონდის ვალდებულებებზე ანარიცხები შექმნილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და განუთენილია მოგებაზედრილი ბილეთების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი საპრიზო ფონდის ხარჯებისთვის. როგორც წესი, მომხმარებლებს მოგებაზედრილი ბილეთის განაღდება შეუძლიათ ნებისმიერ დროს თამაშის შეწყვეტამდე, შეწყვეტის შემთხვევაში - კომპანიის მიერ განცხადების გამოქვეყნებიდან 60 დღის ვადაში.

გ) იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

დეტალები იჯარის ვადების შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-12 შენიშვნაში.

დ) ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-12 შენიშვნაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული და ფულის ეკვივალენტები

31.12.2024**31.12.2023**

8,213

4,594

99

182

8,312**4,776****ფინანსური ვალდებულებები**

მიღებული სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

31.12.2024**31.12.2023**

29,506

26,540

10,098

8,208

1,552

2,114

41,156**36,862****ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია**

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დამკვეთების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაჰენტი მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაჰენტი კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაჰენტის დიდადლი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,213	4,594
ფული და ფულის ეკვივალენტები	61	156
	8,274	4,750

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ვას 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას. კომპანია შეფასების პროცესში იყენებს ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია და სხვა.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,213	-	-	8,213
ფული და ფულის ეკვივალენტები	99	-	-	99
	8,312	-	-	8,312

ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1,098	23,977	4,431	29,506
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,098	-	-	10,098
საიჯარო ვალდებულებები	439	1,113	-	1,552
	11,635	25,090	4,431	41,126

ღია სავალუტო პოზიცია	(3,323)	(25,090)	(4,431)	
-----------------------------	----------------	-----------------	----------------	--

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,594	-	-	4,594
ფული და ფულის ეკვივალენტები	180	2	-	182
	4,774	2	-	4,776

ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	963	21,370	4,207	26,540
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,206	2	-	8,208
საიჯარო ვალდებულებები	278	1,836	-	2,114
	9,447	23,208	4,207	36,862

ღია სავალუტო პოზიცია	(4,673)	(23,206)	(4,207)	
-----------------------------	----------------	-----------------	----------------	--

სავალუტო რისკის მგრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
31.12.2024				
მოგება/(ზარალი)	(5,018)	5,018	(886)	886
31.12.2023				
მოგება/(ზარალი)	(4,641)	4,641	(841)	841

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,213	-	-	8,213
ფული და ფულის ეკვივალენტები	99	-	-	99
	8,312	-	-	8,312
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12,883	20,304	-	33,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,098	-	-	10,098
საიჯარო ვალდებულებები	671	1,118	-	1,789
	23,652	21,422	-	45,074
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(15,340)	(21,422)	-	

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,594	-	-	4,594
ფული და ფულის ეკვივალენტები	182	-	-	182
	4,776	-	-	4,776
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,498	27,844	-	32,342
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,208	-	-	8,208
საიჯარო ვალდებულებები	684	1,762	-	2,446
	13,390	29,606	-	42,996
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(8,614)	(29,606)	-	

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა;
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნების და მომხმარებლების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილება; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. კომპანიის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის სტრუქტურის მიხედვით წარმოდგენილი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი

მიღებული სესხები

საიჯარო ვალდებულებები

მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)

წმინდა ვალდებულებები

31.12.2024

31.12.2023

29,506

26,540

1,552

2,114

(61)

(156)

30,997

28,498

სულ საკუთარი კაპიტალი

(29,594)

(26,434)

სულ დაკორექტირებული კაპიტალი

(29,594)

(25,664)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (%)

-95%

-90%

6. თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი

შემოსავალი მომენტალური გათამაშებებიდან

შემოსავალი ლოტოდან

შემოსავალი ონლაინ თამაშებიდან

2024

2023

34,369

26,736

6,691

6,477

-

362

41,060

33,575

მომენტალური გათამაშებების საპრიზო ფონდის ხარჯი

ლოტოს საპრიზო ფონდის ხარჯი

ონლაინ გათამაშებების საპრიზო ფონდის ხარჯი

2024

2023

(20,402)

(14,990)

(3,400)

(3,208)

-

(295)

(23,802)

(18,493)

17,258

15,082

კომპანია შემოსავალს იღებს და შესასრულებელი ვალდებულება წარმოექმნება საქონლისა და მომსახურების გაცემიდან გარკვეული დროის პერიოდში და დროის გარკვეულ მომენტში. შესაბამისად, თამაშებიდან მიღებული შემოსავალი აღიარების პერიოდის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროის გარკვეულ მომენტში

გარკვეული დროის პერიოდში

2024

2023

34,369

26,736

6,691

6,839

41,060

33,575

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

7. მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები

	2024	2023
გაყიდვების აგენტების საკომისიო ხარჯი	(2,669)	(2,524)
ლატარიის მოსაკრებელი	(1,740)	(1,552)
საოპერაციო სისტემის მომსახურების საკომისიო და მომსახურების სხვა ხარჯები	(502)	(487)
	(4,911)	(4,563)

8. სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
გარე რეკლამის ხარჯი	(613)	(612)
სატელევიზიო რეკლამის ხარჯი	(315)	(262)
ინტერნეტ რეკლამის ხარჯი	(19)	(154)
სხვა მარკეტინგული ხარჯები	(118)	(122)
	(1,065)	(1,150)

9. სხვა ხარჯები

	2024	2023
ბილეთების განთავსების ხარჯი	(2,006)	(1,403)
ბილეთების ბეჭდვის ხარჯი	(1,280)	(985)
სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებული ხარჯი	(410)	(334)
ჯარიმა ლატარიის გადასახადიდან	(360)	(334)
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	(226)	(209)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(210)	(282)
ტრანსპორტის ხარჯი	(182)	(115)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(78)	(68)
რემონტისა და შენახვის ხარჯი	(65)	(56)
გაუფასურებული ტერმინალების ჩამოწერის ხარჯი	(36)	(25)
სხვა	(286)	(339)
	(5,139)	(4,150)

10. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
ფინანსური ხარჯი		
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(2,220)	(1,791)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა	(969)	208
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(159)	(175)
სესხის პირობების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსავალი	-	863
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(3,348)	(895)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
01.01.2023	1,835	167	419	2,421
შემოსვლა	69	2	41	112
გასვლა	(161)	-	-	(161)
31.12.2023	1,743	169	460	2,372
შემოსვლა	40	-	63	103
გასვლა	(266)	-	-	(266)
31.12.2024	1,517	169	523	2,209
დაგროვილი ცვეთა				
01.01.2023	(1,293)	(100)	(253)	(1,646)
ცვეთა	(185)	(25)	(69)	(279)
გასვლა	136	-	-	136
31.12.2023	(1,342)	(125)	(322)	(1,789)
ცვეთა	(134)	(24)	(65)	(223)
გასვლა	230	-	-	230
31.12.2024	(1,246)	(149)	(387)	(1,782)
საბალანსო ღირებულება				
31.12.2023	401	44	138	583
31.12.2024	271	20	136	427

ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად (დეტალურად იხილეთ 21-ე შენიშვნა), კომპანიის ქონება სრულად არის დაგირავებული საგადასახადო გირავნობით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

12. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები ლატარიის სარეალიზაციო კუთხეების მოსაწყობად და ასევე, ადმინისტრაციული ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარსა და ევროში. ზღვრული სასესხო განაკვეთი ლატარიის სარეალიზაციო კუთხეების მოსაწყობად და ადმინისტრაციული ოფისისთვის საჭირო ფართების შემთხვევაში მერყეობს 6.52% -14.52% განაკვეთების ფარგლებში.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს ლატარიის სარეალიზაციო კუთხეების მოსაწყობად აღებული საიჯარო ფართების შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლების გამოყენებას ლატარიის ორგანიზების და ჩატარების სალიცენზიო პერიოდის დასრულებამდე (2027 წლის 24 ივლისამდე).

იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, კომპანია ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	1,916	2,002
შემოსვლა	129	389
შეფასების ცვლილება	(24)	146
ცვეთა	(555)	(495)
გასვლა	(151)	(126)
31 დეკემბერი	1,315	1,916

საიჯარო ვალდებულებებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	2,114	2,073
შემოსვლა	129	389
შეფასების ცვლილება	(24)	146
საპროცენტო ხარჯი	159	175
საიჯარო გადასახდელი	(826)	(676)
გადასახდელი დღგ	117	101
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	61	5
გასვლა	(178)	(99)
31 დეკემბერი	1,552	2,114

ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

13. არამატერიალური აქტივები

კომპანიის საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ლიცენზია, რომელიც მიღებულია 2017 წლის 24 ივლისს შპს „ჯი ენ ელსა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯი ენ ელს“ მიენიჭა ექსკლუზიური უფლება და დაინიშნა ექსკლუზიურ ორგანიზატორად, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე ჩატაროს და ორგანიზება გაუწიოს ლატარიის თამაშებს 10 წლის ვადით.

კომპანიამ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ლიცენზიის დაგროვილი ამორტიზაცია გადაიანგარიშა სალიცენზიო ხელშეკრულების ვადის მიხედვით, რის შედეგადაც ლიცენზიის საბალანსო ღირებულება შემცირდა 770 ათასი ლარით, ხოლო დაგროვილი ზარალი გაიზარდა იგივე თანხით 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბერს ლატარიის ჩატარების ლიცენზიის საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია 3,150 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერს: 4,370 ათასი ლარი), ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია - 9,047 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 7,827 ათასი ლარი). 2024 და 2023 წლებში დარიცხულმა ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 1,220 ათასი ლარი.

14. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ლატარიის ბილეთები	1,141	885
სხვა მარაგი	100	27
	1,241	912

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	8,437	4,818
გაუფასურების რეზერვი	(224)	(224)
არაფინანსური მოთხოვნები:		
გაცემული ავანსები	181	168
	8,394	4,762

ფინანსური აქტივების ხარისხობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

კომპანიას ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით.

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად, კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. კომპანია იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

კომპანიის მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ. ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად შეფასებული გაუფასურებაზე:			
მიმდინარე	697	1%	(7)
0-დან 30 დღემდე	221	5%	(11)
31-დან 90 დღემდე	19	10%	(2)
91-დან 180 დღემდე	-	30%	-
181-დან 365 დღემდე	-	50%	-
365 დღეზე მეტი	-	100%	-
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	937		(20)
გაუფასურებისთვის სპეციფიკურად განხილული მოთხოვნები			
სპეციფიკურად შეფასებული გაუფასურებაზე	7,500	0%	(204)
სულ ფინანსური აქტივები	8,437		(224)

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად შეფასებული გაუფასურებაზე:			
ვადადაუმდგარი	-	0%	-
მიმდინარე	2,070	1%	(21)
0-დან 30 დღემდე	1,440	5%	(72)
31-დან 90 დღემდე	1,308	10%	(131)
91-დან 180 დღემდე	-	30%	-
181-დან 365 დღემდე	-	50%	-
365 დღეზე მეტი	-	100%	-
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	4,818		(224)

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	61	154
ნაღდი ფული სალაროში	38	26
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	2
	99	182

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი მოიცავს საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ, კარგი რეპუტაციის მქონე კომერციულ ბანკში დამოუკიდებელ ანგარიშებზე განთავსებულ საპრიზო ფონდის თანხას 22 ათასი ლარის (2023 წლის 31 დეკემბერი: 22 ათასი) ოდენობით, როგორც ეს მოთხოვნილია ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. კომპანიის მიერ შეზღუდულია აღნიშნული ანგარიშის (ანგარიშების) დატვირთვა რაიმე უზრუნველყოფით (შენიშვნა 21).

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

17. მიღებული სესხები

			მოკლევადიანი	სესხები
	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები				
ევრო	31 მარტი 2025	7%	4,431	4,207
აშშ დოლარი	31 დეკემბერი 2025	9%	8,017	-
			12,448	4,207
გრძელვადიანი სესხები				
	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები				
აშშ დოლარი	1 ივლისი 2027	9%	7,179	13,490
ლარი	8 აგვისტო 2026	15.6%	855	751
არაფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები				
აშშ დოლარი	1 ივლისი 2027	9%	8,781	7,880
ლარი	15 დეკემბერი 2027	16%	243	212
			17,058	22,333

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. მიღებული სესხების ხარისხობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები მიღებულ სესხებთან დაკავშირებით.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი ნაშთი	26,540	25,965
ფულადი ნაკადები:	(162)	(140)
არა ფულადი ნაკადები:		
პროცენტის დარიცხვა და ამორტიზაცია	2,220	1,791
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	908	(213)
შემოსავალი მიღებული სესხის საპროცენტო ვალდებულების პატიებიდან*	-	(863)
საბოლოო ნაშთი	29,506	26,540

(*) - 2023 წლის 10 ნოემბერს კომპანიას არაფინანსურმა ინსტიტუტმა აპატია სესხზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულება, ხოლო არაფინანსური ინსტიტუტის მიმართ დარჩენილი სასესხო ვალდებულების ძირის მოთხოვნა სამმხრივი შეთანხმების შედეგად გადაეცა კომპანიის დაკავშირებულ მხარეს.

პროცენტის პატიებისგან მიღებული შემოსავალი კომპანიას აღრიცხული აქვს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა მუხლში.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები*	5,348	4,420
ტირაჟიანი გათამაშების საპრიზო ფონდი	4,680	3,755
პერსონალის მიმართ არსებული ვალდებულებები	70	33
არაფინანსური ვალდებულებები		
ანარიცხი სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებით**	1,955	1,627
საგადასახადო ვალდებულებები***	52	38
	12,105	9,873

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

(*) - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებებში მოცემულია ფინანსთა სამინისტროსთვის გადასახდელი საკომისიო გადასახადის ვალდებულება, რომლის ნაშთი შეადგენს 4,339 ათას ლარს (2023: 3,568 ათასი ლარი). აღნიშნული ვალდებულებიდან გადასახდელის ძირი შეადგენს 2,998 ათას ლარს (2023: 2,587 ათასი ლარი), ხოლო მასზე დარიცხული ჯარიმის ვალდებულება 1,341 ათას ლარს (2023: 981 ათასი ლარი).

(**) - ცვლილება სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებულ ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	1,627	1,326
გახარჯვა	(82)	(33)
დარიცხვა	410	334
31 დეკემბერი	1,955	1,627

სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებული ანარიცხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 21-ე შენიშვნაში.

(***) - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს გაერთიანებულ სახაზინო კოდექსით. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებას და საგადასახადო აქტივის ურთიერთგადაფარვით მიღებულ საგადასახადო ვალდებულებას 52 ათასი ლარის ღირებულებით (2023: 38 ათასი ლარი).

19. მომენტალური გათამაშების საპრიზო ფონდის ანარიცხები

	2024	2023
1 იანვარი	822	592
დარიცხვა	20,402	14,990
გახარჯვა	(20,031)	(14,760)
31 დეკემბერი	1,193	822

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მიღებული სესხები		
დამფუძნებელი	20,482	18,448

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ფინანსური ხარჯი, წმინდა		
დამფუძნებელი	(2,081)	(972)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	(744)	(537)

21. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ამის შედეგად, საქართველოში წარმოებული ოპერაციები შესაძლოა დადგეს გარკვეული რისკების ქვეშ, რომლებიც, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი სამოქალაქო, საგადასახადო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის საერთო

საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაცია. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომიკური პოლიტიკა, გადასახადების შეზღუდული რაოდენობა და შემცირებული საგადასახადო ტარიფები, მნიშვნელოვნად გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი უცხოურ ქვეყნებთან, მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, კარგად განვითარებული, ინტეგრირებული და მულტი მოდელური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განათლებული, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა მყარი ნიადაგია საქართველოში წარმატებული ბიზნესისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგულაციები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული ლატარიის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებასთან დაკავშირებით კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნები, მათ შორის:

უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივები - ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია საპრიზო ფონდის თანხები განათავსოს სპეციალურ ანგარიშზე (ანგარიშებზე), რომელიც დამოუკიდებელი იქნება სხვა ანგარიშებისგან, საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ, კარგი რეპუტაციის მქონე კომერციულ ბანკში და არ განახორციელოს აღნიშნული ანგარიშის (ანგარიშების) დატვირთვა რაიმე უზრუნველყოფით.

ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 6 (ექვსი) თვით ადრე, ორგანიზატორი ვალდებულია სამინისტროს დასადასტურებლად წარუდგინოს გეგმა გაუთამამებელი საპრიზო ფონდის გათამამების შესახებ. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საპრიზო ფონდის გათამამების შესახებ და მოსთხოვოს ორგანიზატორს ამ გეგმის განხორციელება ან მოსთხოვოს ორგანიზატორს იმ საბანკო ანგარიშთან (ანგარიშებთან) დაკავშირებული ყველა უფლების სამინისტროსთვის გადაცემა, რომელზეც განთავსებულია გაუთამამებელი საპრიზო ფონდი.

სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ორგანიზატორს (შპს „ჯი ენ ელ“) არ აქვს უფლება გახდეს ცალკეული გარიგების ან გარიგებების ერთობლიობათა მონაწილე (დაკავშირებულია თუ არა) და ნებაყოფლობით გაყიდოს, იჯარით გასცეს, გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს ლატარიის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყენებული/გამოსაყენებელი აქტივები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის ღირებულება არ აღემატება 500 ათას ლარს.

გარანტიები - ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღის ვადაში, ორგანიზატორმა სამინისტროს უნდა მიაწოდოს უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია 2,800,000 აშშ დოლარის (ორი მილიონ ორასი ათასი ამერიკული დოლარი) ოდენობით („საგარანტიო თანხა“), რომელიც ძალაში უნდა დარჩეს ხელშეკრულების ვადის დასრულებიდან არანაკლებ 4 (ოთხი) თვის განმავლობაში („საბანკო გარანტია“).

კომპანიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ვალდებულებების საგარანტიოდ სს „თიბისი ბანკიდან“ აიღო უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტია (#3817539-9127229), 2,800 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გარანტია ბანკის მიერ გაცემულია შპს „სითისაითზე“, ხოლო მასზე გადასახდელი პროცენტი იფარება შპს „ჯი ენ ელის“ მიერ. შპს „სითისაითის“ გარანტიის თავდება სრული თანხის ოდენობით წარმოადგენს შპს „ჯი ენ ელი“. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს თავდებობასთან დაკავშირებით რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული, რადგან თვლის, რომ კომპანიას არ წარმოექმნება ამასთან დაკავშირებით რაიმე მატერიალური დანაკარგი.

თუ სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს საბანკო გარანტიის თანხა შემცირდება საგარანტიო თანხასთან მიმართებაში, ორგანიზატორმა საბანკო გარანტიის თანხის შემცირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული თანხა საგარანტიო თანხის 50%-ზე ნაკლებია, ან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული თანხა საგარანტიო თანხის 50%-ზე მეტია, უნდა შეავსოს საბანკო გარანტიის თანხა ან წარადგინოს ახალი საბანკო გარანტია საქართველოში ლიცენზირებული და კარგი რეპუტაციის მქონე კომერციული ბანკისგან, რომელიც მისაღებია სამინისტროსთვის („დამატებითი საბანკო გარანტია“ და საბანკო გარანტიასთან ერთად „ორგანიზატორის უზრუნველყოფა“), რათა უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს ორგანიზატორის უზრუნველყოფა ჯამურად არ იყოს საგარანტიო თანხაზე ნაკლები.

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ლატარიის მოსაკრებელი (გადასახდელი) - ლატარიის მოსაკრებელი ეფუძნება ლოტოსა და მომენტალური გათამაშების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს და გადასახდელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კვარტალურად. ლატარიის მოსაკრებელი რეგულირდება 2017 წლის 24 ივლისს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით და შეადგენს ლატარიის ბილეთების გაყიდვების მთლიან შემოსავლებსა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%-ს. ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე დასარიცხი ჯარიმა შეადგენს ვადაგადაცვილებული თანხის წლიურ 15%-ს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგულაციების დარღვევასთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის შეტყობინების საფუძველზე კომპანიის მთელი ქონებაზე (მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე) მოქმედებს გირავნობის/იპოთეკის უფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ.

ლატარიის მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, ისევე როგორც ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ორგანიზატორისთვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნით, თუმცა ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების დარღვევა გამოსწორებადია და გამოსწორდება 30 კალენდარულ დღეში შეტყობინების მიღებიდან, შეუსრულებლობის შემთხვევას ადგილი არ ექნება.

საპრიზო ფონდის განთავსება - ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია საპრიზო ფონდის თანხები განათავსოს სპეციალურ ანგარიშზე (ანგარიშებზე), რომელიც დამოუკიდებელი იქნება სხვა ანგარიშებისგან, საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ, კარგი რეპუტაციის მქონე კომერციულ ბანკში და არ განახორციელოს აღნიშნული ანგარიშის (ანგარიშების) დატვირთვა რაიმე უზრუნველყოფით. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 6 (ექვსი) თვით ადრე, ორგანიზატორი ვალდებულია სამინისტროს დასადასტურებლად წარუდგინოს გეგმა გაუთამაშებელი საპრიზო ფონდის გათამაშების შესახებ.

ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია თვითონ შეიმუშაოს გეგმა გაუთამაშებელი საპრიზო ფონდის გათამაშების შესახებ და მოსთხოვოს ორგანიზატორს ამ გეგმის განხორციელება ან მოსთხოვოს ორგანიზატორს იმ საბანკო ანგარიშთან (ანგარიშებთან) დაკავშირებული ყველა უფლების სამინისტროსთვის გადაცემა, რომელზეც განთავსებულია გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი.

სხვა - ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრულია მარკეტინგისა და რეკლამების ხარჯი, რომელიც უნდა გაწიოს ყოველწლიურად კომპანიამ. კომპანიამ ყოველწლიურად უნდა განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით არაკომერციული და სოციალური პროექტები, მათ შორის, საგანმანათლებლო, კულტურული, ფილანტროპული, საქველმოქმედო პროექტები („სოციალური პროექტები“).

სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ორგანიზატორი არ უნდა გახდეს ცალკეული გარიგების ან გარიგებების ერთობლიობათა მონაწილე (დაკავშირებულია თუ არა) და ნებაყოფლობით გაყიდოს, იჯარით გასცეს, გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს ლატარიის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყენებული/გამოსაყენებელი აქტივები (მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფა და აღჭურვილობა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებული ცალკეული გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის ღირებულება არ აღემატება 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს.

სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ორგანიზატორმა არ უნდა ისესხოს სახსრები ან აიღოს მსგავსი ფინანსური ვალი (გარდა პარტნიორების და დაკავშირებული პირებისაგან აღებული სესხებისა), რომლის ჯამური ღირებულებაც აღემატება 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარს;

სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ორგანიზატორმა არ უნდა შექმნას ან დაუშვას ორგანიზატორის კაპიტალში არსებულ წილებზე უზრუნველყოფით დატვირთვის არსებობა ან ორგანიზატორის კაპიტალში არსებული წილების მართვაში გადაცემა, ორგანიზატორის კაპიტალში არსებულ წილებზე გირავნობის უფლების გარდა, რომელიც წარმოიშვა ორგანიზატორის მიერ საქართველოში არსებულ ლიცენზირებული კომერციულ ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად და ამ ბანკის სასარგებლოდ და იმ პირობით, რომ ამ გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი სესხის ოდენობა ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს არ უნდა აღემატებოდეს 3,000,000 (სამი მილიონი) აშშ დოლარს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სესხის ოდენობა აღემატება ან ნებისმიერ დროს გადააჭარბებს 3,000,000 (სამი მილიონი) აშშ დოლარს, ორგანიზატორმა ამ ფაქტის დადგომამდე წინასწარ უნდა მიმართოს სამინისტროს წერილობითი თანხმობის მისაღებად. თუ სამინისტრო თანხმობას არ გასცემს ორგანიზატორის მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ჩაითვლება რომ სამინისტრო ეთანხმება ორგანიზატორის კაპიტალში არსებულ წილებზე ამგვარ გირავნობას;

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად არ აქვს შესრულებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნები.

შპს „ჯი ენ ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

შპს მინიმარტის სასესხო ვალდებულების თვდებობა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯი ენ ელ“ წარმოადგენს შპს „მინიმარტის“ თავდებს (სოლიდარული პასუხისმგებლობა) სს „თიბისი ბანკის“ მიმართ ნაკისრ სასესხო ვალდებულებებზე. თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა არის 5,500,000 ლარი ან მისი ეკვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს თავდებობასთან დაკავშირებით ანარიცხი აღიარებული, რადგან თვლის, რომ კომპანიას არ წარმოექმნება ამასთან დაკავშირებით რაიმე მატერიალური დანაკარგი.

მმართველობის ანგარიშგება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც უნდა იყოს წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ჯი ენ ელ

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	3
1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საქმიანობის ანალიზი	4
2. ინფორმაცია კომპანიის ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებით	5
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალებთან დაკავშირებით	5
4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევა და განვითარება	5
5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	5
6. საკუთარი აქციების გამოსყიდვა	5
7. მთავარი რისკები და გაურკვევლობები, რისკის მართვა, ფინანსური რისკი მართვის მიზნები და პოლიტიკა	6
8. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები	7
დანართი 1.....	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**შპს „ჯი ენ ელ“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას**

ჩვენ შპს „ჯი ენ ელ“-ის 2024 წლის წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 31 მარტს უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ 2024 წლის წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

შპს „ჯი ენ ელ“-ის 2024 წლის წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

7 აპრილი 2025

1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საქმიანობის ანალიზი

შპს ჯი ენ ელ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდით - 404507173 დაარსდა 2016 წლის 25 იანვარს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს ვინ	100.00%	100.00%

2023 წლის გამვალლობაში წილების ფლობელობის მხრივ მოხვდა რამოდენიმე ტრანზაქცია:

- 2023 წლის 2 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად შპს „ჯი ენ ელ“-ში სს New Games -ის (ბულგარეთი) 25 % - ის წილის მფლობელი გახდა თამუხ ჰოლდინგი (ბელიზი),
- 2023 წლის 15 ნოემბერს თამუხ ჰოლდინგმა მიჰყიდა თავისი 25% წილი შპს „ჯი ენ ელ“-ის - 75% წილის მფლობელს შპს „ვინ“-ს (ს.კ.405178748), რომელიც გახდა შპს „ჯი ენ ელ“-ის 100 % წილის მფლობელი.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი და ბენეფიციარი მფლობელია კობა ლერწყაია.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის ქ., №20.

2017 წლის 24 ივლისს შპს ჯი ენ ელმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოიპოვა ექსკლუზიური უფლება და დაინიშნა ექსკლუზიურ ორგანიზატორად, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე ჩაატაროს და ორგანიზება გაუწიოს ლატარიის თამაშებს 10 (ათი) წლის ვადით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული ლიცენზიის თანახმად, საქართველოში ეროვნული ლატარიის მართვას ახორციელებს შპს „ჯი ენ ელ“, სავაჭრო ნიშნით - Lotto.ge.

კომპანიის საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

კომპანიამ ტირაჟიანი და მომენტალური ლატარიის გაყიდვები მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო 2018 წლის 17 მარტს 3 მომენტალური და 2 ლოტოს თამაშით.

2019 წელს შეიცვალა მატრიცა და „ლოტო 6/36“ ჩამოყალიბდა „ლოტო 6/42“-ად და დაემატა „ლოტო 5/35“ ე.წ. „ოქროს ბურთი“.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გააგრძელა მომენტალური თამაშების გადახალისება. 2024 წლის მარტი-აპრილის თვეში მოხვდა 2 თამაშის „მხიარული მზარეული“ და „ხურდა ფული“ შეწყვეტა ვადის ამოწურვის გამო. აღნიშნული თამაშების გასუქების მიზეზი იყო დაბალი გაყიდვების მაჩვენებელი. 2024 წლის განმავლობაში აგრეთვე მიმოქცევაში გაეშვა 2 ახალი თამაში: იანვრის თვეში 3 ლარიანი თამაში „ილბლიანი ლარი“ და ოქტომბრის თვეში „3 მანსი“ გაზრდილი ნომინალით. 2024 წლის მე 4 კვარტალში დაეწყო 2 ახალი თამაშის შემუშავება: ერთი 7 ლარიანი თამაში „ნახევარი ლიმონი“, რომლის გაშვება 2025 წლის აპრილის თვეში, მეორე 5 ლარიანი თამაშის გაშვება იგეგმება 2025 წლის მე-2 კვარტალის ბოლოს.

შპს ჯი ენ ელმა ლოტოს პროდუქტების ონლაინ გაყიდვები დაიწყო 2018 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვებ-გვერდის www.lotto.ge-ს საშუალებით. 2023 წლის განმავლობაში წინა წლებში რეგისტრირებული ონლაინ თამაშების ვადის ამოწურვის შემდეგ ფინანსთა სამინისტრო დროებით შეაჩერა ხელმეორედ აღნიშნული თამაშების რეგლამენტის შეთანხმების პროცესი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ონლაინ მომენტალური თამაშების რაოდენობა კომპანიას არ გააჩნია.

საქართველოს ეროვნული ლატარიის ტირაჟიანი ლოტოს და მომენტალური გათამაშების ბილეთების შეძენა შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით შპს მინიმარტის ჯიხურებსა, საქართველოს ფოსტის ფილიალების, დიდ სავაჭრო ქსელების ობიექტებში (მაგნიტი, სპარი, ნიკორა, დეილი, გვირილა) და პატარა სავაჭრო ქსელებში განლაგებული ბენზინ გასამართი სადგურებში (გალფი, სოკარი).

2024 წლის განმავლობაში ორგანიზაციაში მიმდინარეობდა ISO 27001 სტანდარტის მიხედვით მუდმივი გაუმჯობესების ციკლის შესაბამისი აქტივობები, რაც გულისხმობს, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შექმნილი პროცედურა/პოლიტიკების გადახედვას, რისკების მართვის დოკუმენტის განახლებას, კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის გაზომვა-მონიტორინგსა და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას.

ასევე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ზემოაღნიშნული სტანდარტის მოთხოვნების განახლება

ISO27001:2013 ვერსიიდან ახალ ISO 27001:2022 ვერსიაზე, შესაბამისი ყოველწლიური გარე აუდიტის ჩატარების

მეშვეობით კი წარმატებით დასრულდა ISO 27001-ის რესერტიფიცირების პროცესი, რის შედეგადაც ორგანიზაცია ფლობს ISO 27001:2022 საერთაშორისო სერტიფიკატს.

შპს ჯი ენ ელი აქტიურად აგრძელებს 2018 წელს დაწყებულ ინტენსიურ მარკეტინგულ კამპანიას, მათ შორის სატელევიზიო, რადიო, ქუჩისა და ინტერნეტ რეკლამირებას. ამ საქმიანობის მთავარი მიზნები იყო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა კომპანიასა და ასევე მის პროდუქტებთან დაკავშირებით.

2. ინფორმაცია კომპანიის ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებით

შპს „ჯი ენ ელ“-ი მოქმედებს რა როგორც პასუხისმგებელიანი დამსაქმებელი, 2024 წელი დაიწყო 114 თანამშრომლით და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მოახერხა ძლიერი, მოტივირებული 135 თანამშრომლისგან შემდგარი გუნდის შექმნა. 2024 წლის განმავლობაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობა შეადგინა 119 ადამიანი. საანგარიშგებო წლის განმავლობაში იყო აღყვანილი 57 თამაშრომელი და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე 27 თანამშრომელთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულებები.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალებთან დაკავშირებით

შპს ჯი ენ ელ-მა შექმნა 2,000-ზე მეტი სარეალიზაციო პუნქტისგან შემდგარი ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით. კომპანია თავის პროდუქტების რეალიზაციას ახდენს ხელშეკრულებით აყვანილი ლატარიის გამყიდველი აგენტებისა და თავისი სადისტრიბუციო არხების საშუალებით, ასევე ონლაინ რეჟიმში - www.Lotto.ge. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 31 საკუთარი სარეალიზაციო პუნქტები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, თელავის, რუსთავის და ფოთის მთავარ სავაჭრო ცენტრებში.

4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევა და განვითარება

2024 წლის კომპანიის მთავარი ამოცანა არის საოპერაციო მოგებაზე გასვლა, გაყიდვების დასტაბილურება თვეების ჩრილში, ახალი სახეობის თამაშის დანერგვა და გაშვება. დიდ მნიშვნელობას კომპანიის ანიჭებს დიჯიტალ ბაზრის ათვისებას.

5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წელს კომპანიას არ ჰქონია კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები.

6. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას, 2024 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

7. მთავარი რისკები და გაურკვევლობები, რისკის მართვა, ფინანსური რისკი მართვის მიზნები და პოლიტიკა

შპს ჯი ენ ელ ახორციელებს ლატარიასთან დაკავშირებულ ოპერაციებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამიტომ სრულად ესმის თავისი რეპუტაციისა და სტაბილურობის მნიშვნელობა. კომპანიაში რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება შემდეგი სახის რისკებთან დაკავშირებით: ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასების ცვლილების რისკებს), საკრედიტო რისკს და სალიკვიდაციო რისკს. ფინანსური რისკის მართვის მთავარი ფუნქციაა განსაზღვროს რისკის ლიმიტები და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი რისკის საფრთხე დარჩეს ამ ლიმიტების ფარგლებში.

საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციები გამომწვეულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს შიდა განაწესის და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება საიმისოდ, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

საოპერაციო რისკები. საქმიანობისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკები ძირითადად არის შიდა და გარეშე თაღლითობის რისკები, რომლებიც შეზღუდულია მუდმივი კონტროლის და სარისკო ოპერაციების კონტროლისა და მონიტორინგის, პროცესებისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელებისა და გაუმჯობესების გზით, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურული საშუალებების გამოყენებით.

კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი. კომპანია ექვემდებარება მის ანგარიშგებასთან, ბიზნესის წარმოებასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების შესაბამისად დაფინანსებასა და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკს. კომპანიამ შეიმუშავა გარკვეული პროცედურები და განსაზღვრა თვითოველ რისკზე პასუხისმგებელი მენეჯერი, კომპანიის გენერალური დირექტორისა და ფინანსური დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ;

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერ-შეტევების რისკი. კომპანია იყენებს თანამედროვე, კიბერ შეტევებისგან დაცვის ყველაზე ახალ სისტემებს. კომპანიამ დანერგა რაციონალური მართვის საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მუდმივად ამოწმებს და განახლებს მათ. 2024 წელს წარმატებით დასრულდა ISO 27001-ის რესერტიფიცირების პროცესი, რის შედეგადაც ორგანიზაცია ფლობს ISO 27001:2022 საერთაშორისო სერტიფიკატს.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის საფრთხე, რომელიც წარმოიქმნა კონტრაგენტებთან კომპანიის ტრანზაქციების შედეგად, რომელმაც წარმოქმნა ფინანსური აქტივები. სიფრთხილით შერჩეული კონტრაგენტები, გადახდის მოკლე პერიოდები და რისკის შეფასების მოდელები და პროცედურები ამცირებს ამ რისკს;

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს ფულადი რესურსები ამ მოთხოვნების შესასრულებლად, რადგან დაკავშირებული მხარეებისგან ამ ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო სახსრების სწრაფი მოზიდვა პროგნოზირებული უნდა იყოს საკმაო სიზუსტით. ლიკვიდურობის რისკი იმართება ჯგუფის ფინანსური დეპარტამენტის მიერ. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზებს.

საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები, როგორიცაა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები იმართება და შემოიფარგლება ვალუტის და დაფარვის ვადებს შორის სხვაობის მდგომარეობის მუდმივი შეფასებით.

8. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

2024 წელს კომპანიამ მოახდინა 41,060 ათასი ლარის შემოსავლების გენერირება, რაც 7,485 ათასი ლარით მეტია 2023 წელთან შედარებით:

	2024	2023
შემოსავალი მომენტალური გათამაშებებიდან	34,369	26,736
შემოსავალი ლოტოდან	6,691	6,477
შემოსავალი ონლაინ თამაშებიდან	-	362
	41,060	33,575

შემოსავლების ზრდა განაპირობა მომენტალური გათამაშების გაყიდვების გაზრდამ.

2024 წელს ჯამურმა საპრიზო ფონდმა შეადგინა 23,802 ათასი ლარი, რაც 5,309 ათასი ლარით მეტია 2023 წლის შედეგთან მიმართებაში:

	2024	2023
მომენტალური გათამაშებების საპრიზო ფონდის ხარჯი	(20,402)	(14,990)
ლოტოს საპრიზო ფონდის ხარჯი	(3,400)	(3,208)
ონლაინ გათამაშებების საპრიზო ფონდის ხარჯი	-	(295)
	(23,802)	(18,493)

2024 წელს თამაშებიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა (GGR) შეადგინა 17,258 ათასი ლარი, რაც მხოლოდ 2,176 ათასი ლარით მეტია 2023 წლის შედეგთან მიმართებაში.

2024 წელს საოპერაციო ნაწილში უმსხვილესი ხარჯი არის მოსაკრებელი და საკომისიოს ხარჯები რომელს შეადგენს 4,911 ათას ლარს, რაც 348 ათასი ლარით მეტია 2023 წლის შედეგთან მიმართებაში:

	2024	2023
გაყიდვების აგენტების საკომისიო	(2,669)	(2,524)
ლატარიის მოსაკრებელი	(1,740)	(1,552)
საოპერაციო სისტემის მომსახურების საკომისიო და მომსახურების ხარჯები	(502)	(487)
	(4,911)	(4,563)

2024 წელს კომპანიამ დასრულა საოპერაციო მოგებით რომელიც შეადგინა 188 ათასი ლარი, რაც 567 ათასი ლარით მეტია 2023 წლის შედეგზე (- 379 ათასი ლარი) მეტია.

2024 წელს წმინდა ზარალმა შეადგინა 3,160 ათასი ლარი, რაც 1,886 ათასი ლარით მეტია 2023 წლის ზარალზე, რომელიც შეადგენდა 1,274 ათასი ლარი.

ფინანსური მაჩვენებლები

საპრიზო ფონდის ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 58.00% (23,802/41,060), ხოლო 2023 წელს შეადგინა 55.08% (18,483/33,575).


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 7 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გიორგი გედევანიშვილი

ფინანსური დირექტორი

ედუარდ ოგანესიანი



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 7 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი



დანართი 1

ორგანიზაციული სტრუქტურა

